[საქარ]თველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

კვირა, 5 ოქტომბერი 1919 წ. № 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

[ყოველი გ]ამოსაგზავნი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში [აუცი]ლებლად უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფირხაძის სახლი. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

[თ]ამარ სიმონის ასული გაბაშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, 5 ოქტომბერს რეალურ [ს]აწავლებელში დილის 10 საათზე გადახდილი იქნება ორმოცი [დ]ღის წირვა და პანაშვიდი 12 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე პანაშვიდი

## [ვ]ასილ ბესარიონის ძე გაბაშვილის

სულის მოსახსენებლად. 1—1

[მ]ეუღლე ლიუცია ალექსანდრეს ასული ნემსაძისა, შვილები ალექსანდრე, ნატალია, მარიამ და ეკატერინე, სიძე ივერიკო [ბ]ოროთქიფანიძე, შვილიშვილი ქეთო აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 5 ოქტომბერს, დღით კვირას საფიჩხიის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პოლკოვნიკ

## [პ]ეტია (სამსონ) ალიმასხანის ძე ნემსაძის.

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი 12 საათზე. 2—1.

[მა]რიზა ფირანის ასული-მოდებაძისა, სოლომონ გიორგის ძე მოდებაძე და მარიამ სოლომონის ასული თუმანიშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, პირველის სიძის, მეორესი ქვისლი, ხოლო უკანასკნელის ბიძა

## ტარიელ რევაზის ძე კიკიანი,

რომლის დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე, საღამოს 4 საათზე. გამოსვენება ივანოვის ქუჩიდან, საკუთარი ბინიდან, სახლი ანდრონიკაშვილისა, პანაშვიდი ყოველ დღე 1—1

[გ]აუბედურებული ცოლი ანნა (ანეტი) ფირანის ასული მარიამ ტარიელის ასული, ეკატერინე ასლანის ასული შვილებითურთ კიკიანები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, დაუვიწყარი პირველი ქმრისა, მეორე მამისა, მესამე მამამთილისა ხოლო უკანასკნელნი ბაბუისა

## ტარიელ რევაზის ძე კიკიანის,

რომლის დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე 7 ოქტომბერს დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. ივანოვის ქუჩა, ანდრონიკაშვილის სახლი, პანაშვიდი ყოველ დღე. საღამოს 5 საათზე. 1—1

[და]ღულ დათუთქული ნინა ტარიელის ასული ავალიშვილისა და იოსებ დიმიტრის ძე ავალიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მამა ხოლო მეორესი სიმამრი

## ტარიელ რევაზის ძე კიკიანი,

რომლის დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე 7 ოქტომბერს საღამოს 4 საათზე, გამოსვენება ივანოვის ქუჩიდან საკუთარი ბინიდან. სახლი ანდრონიკაშვილისა. პანაშვიდები ყოველ დღე. 1—1

ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფენი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 3 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი ამხანაგი

## ოლღა (ოლია) თორამე 1—1

მამობილი იოსებ სიმონის ძე და დედობილი ტებრონე დიმიტრის ასული ქათამაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ყაუხჩიშვილის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

## ოლია თორამის

გადაცვალებას: დაკრძალვა მოხდება კვირას 5 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. საფიჩხიის სასაფლაოზე, გამოსვენება ბალახვნის ქუჩიდან საკუთარი სახლი. 1—1

## განცხადება.

კვირას 5 წ-ფობისთვეს დღით 12 საათზე ყოფილ მიმწოდებელ კომიტეტის საწყობში (ჭავჭავაძის ქუჩა ციხის პირდაპირ) დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

გახვრეტილ დასველებულ შაქარზე, და ფეხსაცმელების საძირე ტყავის ნაკუწებზე. ვაჭრობაზე მსურველმა ფასები უნდა წარმოადგინოს დახურულ კონვერტში იქვე, კვირას დღის 2 საათამდის. საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდის.

2—2 დახავლეთ საქართველოს ერობათა კავშირის პრეზიდიუმი.

**საქართველოს რესპუბლიკის საწონ-საზომის პალატა**

აცხადებს რომ დღეის რიცხვიდან 15 ოქტომბრამდის ქალაქ ქუთაისში იხსნება დროებითი განყოფილება პალატისა თბილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ. ზემოთ აღნიშნულ ვადაში ყველა მეპატრონენი საწონ-საზომისა ვალდებულნი არიან წარმოადგინონ პალატის რწმუნებულის წინაშე საწონ-საზომი დასაბეჭდათ და გადასასინჯავათ. ზემოაღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ მოხდენილ იქნება რევიზია და ის პირები ვინც საწონ-საზომის გაშინჯვას დაემალება იგი დაისჯება ადმინისტრატიული წესით და, გირები და სასწორი ჩამოერთმევა.

პალატის უფროსი რწმუნებული რეზვიაკოვი.

2—1 მილიციის უფროსი მაღნარაძე.

**5 ოქტომბერს, ვაჟთა გიმნაზიის ეზოში თბილისის ტანსავარჯიშო საზოგადოება**

## „შევარდენი“

**გამართავს ტანვარჯიშულ გამოსვლას შემდეგი წესრიგით:**

1) ქალთა თავისუფალი მოძრაობა, 2) ვაჟთა მოძრაობა ორძელზე, 3) ჭიდაობა, 4) სიმძიმეებით ვარჯიში, 5) ვაჟთა თავისუფალი მოძრაობა, 6) კრივი და ფარიკაობა, 7) ქალთა ვარჯიშობა საწვდომ ორძელზე, 8) ვაჟთა მოძრაობა ღერძზე, 9) თავისუფალი მოძრაობა „საქართველოს ვარსკვლავი“, 10) საერთო გუნდები. დასაწყისი დილის 12 საათზე. ბილეთების შეძენა შეიძლება ვაჟთა 1 გიმნაზიაში და წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიაში.

თბილისის საზ. „შევარდენი.“

# დღიური.

უნგრეთის ფრიდრიხის მთავრობამ გადასწყვიტა ჟანდარმთა კორპუსი შეადგინოს.

საქართველოს მთავრობამ საპროტესტო ნოტით მიმართა მოკავშირეთა მისიებს, მთაშში მოხალისეთა ჯარის მოქმედების წინაღმდეგ.

თბილისში ჩამოვიდა გენერალი ჰარბორტი.

იტალიის მთავრობა კრიზისს განიცდის.

## შიგნი და გარეთ.

ხანგრძლივი ომისა და დიადი რევოლიუციის შემდეგ ორი ძირითადი საკითხი დაისვა ჩვენს წინაშე: **გარეშე ერთა წინაშე დაგვეცვა და გაგვემტკიცებია ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შიგნი სახელმწიფო მოგვეწყო ახალ პრინციპზე.**

ეს ორი უმთავრესი მიზანი ჩვენი საერთო მოძრაობისა სავსებით გამოხატავდა ჩვენი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ორი წელიწადია თითქმის ნათლათ და ცხადათ ვსთქვით და საქვეყნოთ ვაღიარეთ, რომ ჩვენი სამშობლო საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ამის დასტური მოვსთხოვეთ ყოველ სახელმწიფოს და მოველოდით მათ თანხმობას, სურვილი კი იქნებოდა ეს თანხმობა თუ იძულებით. სამწუხაროთ ამის დასტური ვერ მივიღეთ. მსოფლიო კონფერენცია, რომელიც უნდა შეხებოდა ამ საკითხს, და რომელსაც თავისი აზრი უნდა გადაჭრით გამოეთქვა ნახევარი წლის განმავლობაში არც კი შეხებია ამ საკითხს და მისი შეხედულება შორეულადაც ვერ გავიგეთ ჩვენი დიპლომატიის ცდამ ამ შემთხვევაში უნაყოფოთ ჩაიარა.

დღეს კონფერენცია ისევ განაგრძობს მუშაობას. ასეა თუ ისე კონფერენციის წინაშე ეს საკითხი უნდა დადგეს და მაზედ კონფერენციამ თავისი საქვეყნოდ სავალდებულო დადგენილება უნდა გამოიტანოს.

ჩვენს დამოუკიდებლობას აქვს საგულისხმო ისტორიული და პოლიტიკური საბუთები, მისი დამტკიცება შესაძლებელია თუ კარგათ მოწყობილი დიპლომატია იქნება და ღირსეული დელეგაცია ამას ითავებს. კონფერენციაზე ამ საკითხის წაგება იქნება ჩვენი სისუსტე, საერთაშორისო კრების უსამართლობა და ისტორიის წინაშე დამნაშავობა. ასეთ ნაბიჯს კონფერენცია არ გადასდგამს, თუ მართლაც ცისა და დედა მიწის რისხვა ჩვენს თავზე არ ჩამოწყდა.

მეორე საკითხი იყო ჩვენი შინაური სახელმწიფოებრივი მოწყობა ახალ პრინციპებზე თავისუფლების ნიადაგზე. ეს საკითხი ყალბათ დაისვა და ყალბათა სდგას დღესაც, ყოველ ნაბიჯს **სოციალისტური** ხასიათი ქონდა და ამიტომ არც ერთი რეფორმა, არც ერთი დეკრეტი და საკანონმდებლო ნაბიჯი სასარგებლოდ არ დაგვირგვინდა, მიწის დეკრეტმა მეურნეობა დაგვინგრია, სამრეწველო განკარგულებამ ვაჭრობა შეაფერხა და სპეკულიაციაში ჩაგვაგდო, მუშათა სფეროში შეტანილმა ცვილებებმა სამუშაო ხელი გააძვირა, წარმოება შეაჩერა, ზარმაცობა დააკანონა. სურვილი და მიზანი ჩვენს მთავრობას და მის დამხმარე ორგანოებს კარგი აქვს, მაგრამ საშვალება და ზომები ამ სურვილისა და კეთილი განზრახვების განსახორციელებლათ შეუფერებელი, აუწონდაუწონელი და სამწუხაროთ უფრო დამანგრეველი, ვინემ აღმაშენებელი. სამწუხაროთ შინაური წესწყობილების სამედო ნიადაგზე დამყარება არ მოხერხდა. აქ მწარე გამოცდილება შევიძინეთ და ბევრი რამ ნაცადი ისევ მოსაშლელი და გამოსაცვლელი გვაქვს. ასე რომ არა თუ ცოტა რამ, თითქმის ყველაფერი **დროებითი** შექნა. ამ დღეებში ახალი საკანონმდებლო ორგანო შესდგება **სენატი** — ახალი კანონები უნდა შევქმნათ. ცხადია ჩვენი მომავალი დიდათ არის დაკავშირებული კანონმდებლობაზე. სენატი, თუ კი ის იქნა სათანადო შემადგენლობის, გაითვალისწინებს თავის დიად დანიშნულებას და სახელმწიფოს საიმედო საფუძვლიან ნიადაგზე დააყენებს, სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ თავდები ჩვენი ნორმალური წარმატების. შესძლებს ჩვენი სენატი ამას! ვნახოთ...

ტრიფონ ჯაფარიძე

## კონტრრევოლიუციონერობა და რეაქციონერობა.

რევოლიუციის პირველ ხანაში ყველა აღფრთოვანებული, იმედებით აღსავსე, უკეთესის მომლოდნე და ძველი წესის მოძულე იყო.

საერთო კეთილშობილი აღტყვინება და ზეიმი სუფევდა და არავის გულში არავითარს პირად ანგარიშს, ქვენა გრძნობას ადგილი არა ჰქონდა.

ბურჟუა და პროლეტარი, მემამულე და მიწისმუშა, ხელოსანი და შეგირდი, ინტელიგენტი და არაინტელიგენტი — ყველა ერთი სულით გაქღენთილი, ერთი გრძნობით აღგზნებული იყო.

მიტომაც დაინგრა ისე ადვილად ძველი წესი.

მაგრამ რევოლიუციის პირველმა ხანმა გაიარა. და რევოლიუციის ნანგრევზე ახალი შენობა უნდა აშენებულიყო.

რევოლიუციის მოციქულებს, რომელთაც ძველის დანგრევა ედვილებოდათ, ახლის აშენება გაუჭირდათ.

აშენებისათვის აღტყი
გრძნობა არა კმარა, საჭირ
დევ...
ქმედებით... მუშაობა
და რევოლიუციის მოციქუ
რომელნიც ახალ ცხოვრებას
ვეში ჩაუდგენ, ბევრი ისეს
რეჟიმისაგან.

საგანგებო ადმინისტრაცია, გა
თლებლად დასჯა, შეშინება,
რი, პოლიტიკური მოპირ
დევნა, მიზანშეუსაბამო რეფორ
ძველი რეჟიმის ნაშთია.

მაგალითებზე შორს არ
აი აგერ ახლა სოფელს ბო
სათემო არჩევნები მოხდა. მმა
პარტიას შეეშინდა, ვაი თუ
ნულმა-დემოკრატებმა გაიმა
და კენჭები არჩევნების გათავე
ნავე კი არ დათვალეს, არამე
თები ყვირილაში წაიღეს და
რო ერობის კანცელარიაში გ
არჩევანი, რასაკვირველია,
ნოა.

ერთს მოქალაქეს კერძო
გვარდიის შტაბის თავმჯდ
ამხანაგთან ლაპარაკი მოუვიდა
ბის თავმჯდომარემ კომისართა
ვლო, კომისარმა მოქალაქე დ
ვედ იცნო და გაუსამართლ
ერთი თვის ციხე გადაუწყვიტა

ხონის მოქალაქეებმა მთავ
თან კოლექტიური თხოვნის
ვნა განიზრახეს.

თხოულობდენ, ხონის თემა
დაკეთებას. ადმინისტრაციამ
ლების მოქმედებაში ამბოხება
ნახა და მათს მოციქულებს
თვის ციხე მიუსაჯა.

ერთგან გვარდიის შტაბმა
მოქალაქე დაიბარა და ბრა
წაუყენა: შენ ბოლშევიკი,
ნელი, ეროვნული დემოკრატ
ვრაზმელი, კონტრევოლიუც
რი და რეაქციონერი ხარ და
ლად იყავიო.

რამდენი მაგალითი ჩამოვთვა
ერთი სიტყვით, ისეთივე მ

## ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) პოეზია.

(წინასიტყვაობა).

ქართველმა ერმა თავის მრავალსაუკუნიან ისტორიულ ცხოვრების განმავლობაში, შექმნა მდიდარი და მრავალფეროვანი მწერლობა.

მიუხედავათ იმისა, რომ საქართველო გარემოცული იყო ძლიერი და დაუძინებელი მტრებით, რომლის წინააღმდეგ მას განუწყვეტლივ უხდებოდა ბრძოლა, თავის არსებობის დასაცავად, ჩვენ წინაპრთა განუტეხელმა ჩხნეობამ და უშრეტმა სულიერმა ენერგიამ მაინც მოასწრო შექმნა მრავალი ლიტერატურული, ფილოსოფიური და სასულიერო შინაარსის ნაწარმოებნი, რომელნიც ნათლათ მოწმობენ ჩვენი ერის მაღალ ნიჭიერებას და მის უსაზღვრო და შეუკავებელ მისწრაფებას ცოდნა—განათლებისადმი. საკმაოა გავიხსენოთ ჩვენი ძველი დროის, კლასიკური ხანის და განახლების ეპოქის მწერლობის წარმომადგენელთა ზოგიერთი უკვდავი სახელები, რომ ჩვენთვის ცხადი შექნეს ქართველი ერის თავისუფალ არსებობის განმავლობაში შექმნილ სულიერ კულტურის სიდიადე და ფასდაუდებელი მნიშვნელობა.

სამწუხაროთ ძლიერ ცოტაა მისთანა განათლებული ქართველი, რომელიც დაახლოვებით მაინც იცნობდეს ჩვენ ძველს, დიდებულ მწერლობას. მართალია შოთა რუსთველის სახელი თითქმის ყოველ ქართველ ინტელიგენტს აკერია პირზე, მაგრამ „ვეფხის ტყაოსანი“ თითოოროლას თუ აქვს წაკითხული და კიდევ უფრო ცოტას აქვს შეგნებული ამ გენიალური ქმნილების ლიტერატურული ფასი და მისი საერო ვნობ-მნიშვნელობა. შავთელს, სარგის თმოგველს, ჩახრუხაძეს, საბასულხან ორბელიანს, დავით გურამიშვილს და ბესიკს მხოლოთ სახელებით და თუ ვიცნობთ. ეფრემ მცირის, იოვანე პეტრიწისა და გიორგი მთაწმინდელის ბევრს ქართველს სახელიც კი არ გაუგონია.

დღევანდელი ქართველობის ამნაირმა შემაძრწუნებელმა და მიუტევებელმა გულგრილობამ მდიდარი მშობლიური ლიტერატურის შესწავლისადმი, წარმოათქმევინა ერთს თანამედროვე ნიჭიერ, ახალგაზრდა, ქართველ მწერალს შემდეგი საგულისხმიერო სიტყვები:

„ქართული კლასიკური ნაწარმოები დღეს მტვრიან წიგნთსაცავებსა და ნესტიან ზანდუკებში სთვლემენ და მოსიყვარულე ხელის შეხებას ელიან. მაგრამ დიდი ნაშთები ჩვენში მოკრძალებას აღარ იწვევენ. დღეს საქართველოში მოიპოვებიან გულ-უბრყვილო ადამიანები, რომელთაც მტკიცეთ სჯერათ, რომ ვინმე არციბაშევის რომანები ან ვინმე ბალმონტის ლექსები, გურამიშვილისა და ბესიკის ნაწარმოებზე უფრო მაღლა სდგას. ეს, რასაკვირველია, სულიერი სიმახინჯითა და უმეცრებით აიხსნება.

დედამიწის ზურგზე, ბევრი არაა ისეთი ხალხი, რომელსაც ჩვენსავით მდიდარი დამთავრებული მწერლობა ჰქონდეს, მაგრამ გონებრივი ელამობის გამო როდი ვხედავთ ამ გარემოებას. ზოგიერთ ჩვენ მტერმოყვარეს დიდის ხნის ევოლიუცია დასჭირდება სანამ იმ ესტეტიურ და ზნეობრივ სიმაღლეს მიაღწევდეს, რომ
ჩვენმა მწერლობამ და ხელო
მიაღწია ჯერ კლასიკურ ეპოქ
შემდეგ განახლების ხანაში.

ჩვენს ძველს და ახალ მწერ
ში დიდი სულიერი ენერგიაა
ხული. ძნელი წარმოსადგენია
ბიერი ადამიანია, რომელსაც
რუსთაველის, საბა სულხან
ლიანის, მეფე არჩილის, იოსებ
ლელის, დავით გურამიშვილი
ბესარიონ გაბაშვილის ნაწარ
წაეკითხოს და სულიერი გაფა
და ზნეობრივი აღფრთოვანება
ეგრძნოს. თუ ჩვენ გვინდა საქა
ლოს სულიერ აღორძინებაზე ვ
ნოთ, უპირველეს ყოვლისა იმ
შრეტელი სიბრძნისა და აღფრ
ნების წყაროს უნდა დავეწა
რომელსაც ქართული მწერ
ჰქვიან. დევების სისხლი, რომ
ქართული სტრიქონებია დაწერ
ჩვენ მოდუნებულ ძარღვებს ზ
მიანურ ძალას შემატებს.

დღევანდელი ჩვენი საუბრებ
განს კი შეადგენს მეთვრამეტე
კუნის მეორე ნახევრის ერთ გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ობა დადგა, როგორიც ძველი ...იმის დროს იყო.

...მაშინ მოქალაქეს სდევნიდენ „აწი- ...ელი რეჟიმის, ოჯახის, საკუთრე- ...ისა და სახელმწიფოს საფუძვლების ...ნგრევისათვის“.

...ახლა კი სდევნიან ვითომ რეაქცი- ...ნერობისა და კონტრრევოლიუციო- ...რობისათვის.

...ჰეინე ჩიოდა: რა საშინელი დრო ...დგა: ველარ დაგვიმცხიკევია, რომ ...ლიტიკური დანაშაული არ დაგვა- ...ლონო. ძველი რეჟიმის დროს, ...სტავისთვის რომ სიტყვა შეგე- ...ბნებია მეფის შეურაცხყოფას და ...ბრალებდენ.

...ახლაც გვარდიის შტაბის ...როსს ან კომისარს რომ მოური- ...ლად სიტყვა შეუბრუნო, კონტრ ...ვოლიუციონერობას დაგაბრალე- ...ნ და ციხეში ამოგაყოფინებენ ...ვს.

...ეს — შეუწყნარებელია, რევოლიუ- ...ის მონაპოვართა უარყოფაა.

...მართველმა პარტიამ და ადმინის ...აციამ რევოლიუციის ანდერძი ...ივიწყეს.

...როცა მოქალაქე ხმას აღიმაღ- ...ებს ადმინისტრაციის თვითნებო ...წინააღმდეგ, რევოლიუციის სა- ...ლითაც რომ წარმოებდეს თვით- ...ობა, — ეს კონტრ რევოლიუციო ...ობა კი არ არის; მოქალაქობრი ...გამბედაობაა, რევოლიუციონე- ...ობაა.

...დეს, იცოდეს ყველამ: კონტრ ...ვოლიუციონერობა — ძალადობაა, ...მინისტრატიული თვითნებობაა, ...მართლობაა; უკანონობაა.

...მირიქით, ვინც ძალადობს, თვი- ...ნებობის, უსამართლობისა და უკა ...ობის წინააღმდეგ ხმას აამაღლებს, — მოქალაქეა ამ სიტყვის კეთილ- ...ბილი მნიშვნელობით.

...ამ ცხადია, ვინ აწარმოებს ...ნტრრევოლიუციას და ვინ იცავს ...ვოლიუციის მონაპოვარს.

ვასილ წერეთელი.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი.

**თბილისის შევარდენი ქუთაისში.** დღეს 5 ოქტომბერს, 1 გიმნაზიის ეზოში თბილისის „შევარდნები“ გამართავს ტანთ სავარჯიშო გამოსვლას. ბევრჯელ ყოფილა ასეთი გამოსვლები ქუთაისში, მაგრამ დღეს მონაწილეობას მიიღებენ ნამდვილი „შევარდნები“ გ. ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც პარიზში 1912 წელს მეორე შეჯიბრებაზე მესამე ადგილი დაიჭირა 12 ათას შევარდენთა შორის. ჩამოსულნი არიან აგრეთვე: გ. ბერელაშვილი პრაჰაში დაჯილდოვებული, ნიკოლაძე, ირ. ლორთქიფანიძე, ს. ნანიშვილი, ი. ბერიძე და თ. ნიკოლაძე.

იმედია ქუთაისის საზოგადოება პატივს სცემს თბილისელ „შევარდნებს“ და მათ გამოსვლას დაესწრებიან.

✦ **წინამძღვრის არჩევა** ადგილობრივი საკათედრო ტაძრის წინამძღვრათ სამიტროპოლიტო საბჭომ ერთხმად აირჩია **დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე**.

✦ **პაპის ლეგატი.** ნოემბრის პირველ რიცხვებში ქუთაისში მოელიან რომის პაპის ლეგატს.

✦ **ფრაქციის სხდომა** ორშაბათს 6 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში დანიშნულია ეროვნულ დემოკრატიული ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ფრაქციის კრება,

# ნაკვთები.

VI

**ექვსი საყელო!..**

რევოლიუციის პირველ ხანებში საშიში იყო ქუჩაში გამოსვლა.

რუსის ჯარის კაცებს ტვინის ან თება სჭირდათ!..

მათ არ მოსწონდათ სუფთად ჩაცმული მოქალაქენი.

და როდესაც ასეთებს დაინახავდენ, გალოფებულნი წამოიძახებდენ: —

Буржуй!..

В морду бей!..

შეიქნებოდა „სკანდალი“.

და ხშირად რომელიმე ინტელიგენტი განსაცდელის დღეში ვარდებოდა.

ასე იყო უწინ...

გავიდა ხანი.

რევოლიუციამ დაღლილობის შემდეგ მიიძინა!..

მაგრამ რუსის ჯარის კაცების ტვინის ტკივილი გადამდები სენი აღმოჩნდა.

ამ ავადმყოფობის ბაცილები საქართველოშიდაც დარჩა.

და აშხამებს „დემოკრატია“!..

ამ ერთი კვირის წინად მატარებლით მომიხდა მგზავრობა.

არას ვიტყვი იმის შესახებ თუ როგორ ვიმგზავრე...

მაგრამ კონდუქტორების მოქმედებამ ვერ დასტოვა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება.

ჩვენს ვაგონში ერთი მგზავრი იპყრობდა ყურადღებას.

ეტყობოდა ინტელიგენტი უნდა ყოფილიყო.

მას თან ჰქონდა პატარა ყუთი.

შემოდის წარბ შეხრილი კონდუქტორიც.

Билет, билэт, билет... — გაჰკიოდა იგი.

მივარდა ყუთიან მგზავრს.

— რა გაქვს ამ ყუთში, ა, რა გაქვს!?

მგზავრი გაკვირდა, გაოცდა.

- ვინ მოგცა აქ ამის შემოტანის უფლება, ა. ვინ მოგცა!..

— ნუ ღელავთ ბატონო კანდუქტორო, დაწყნარდით.

და ინტელიკენტმა მგზავრმა პატარა ყუთი გახსნა.

ყუთში მხოლოდ საყელოები აღმოჩნდა.

ექვსი საყელო!..

— სპეკულიანტი ყოფილა, სპეკულიანტი, რათ უნდა ამდენი საყელო! — ა. რათ უნდა?!.

შექნა ყვირილი კონდუქტორმა.

ატყდა ჩოჩქოლი.

მაგრამ იმავე ყუთში აღმოჩნდა ერთი საბუთი:

მოწმობა.

რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს ინტელიგენტი იყო საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ ერთი პროფესორი.

მგზავრებმა კონდუქტორი გარეთ გაათრიეს.

მაგრამ მას თავში ისე ბლომად ჰქონოდა ტვინის ანთების ბაცილები რომ შეუწყვეტლივ გაიძახოდა:

Буржуй!..

Спекулянт!..

პროფესორი კი იჯდა თავის ადგილას და ულვაშებში იღიმებოდა.

საბრალო საქართველო!

რა გეშველება, შენი შვილები ტვინის ანთებით რომ იტანჯებიან?!

კაინი.

# საქართველოს საჩივარი.

„ნესტანი ხარო“, აკაკი  
სულ ამას გაიძახოდა,  
წინამეტყველის ყვირილი  
არვისგან დაიძრახოდა.

და მეც, ქაჯთაგან ტყვედქმნილი  
ველოდი თავისუფლებას,  
როს დაკარგავდა მტარვალი  
უხამსსა ძალა-უფლებას.

ევროპის მეხმა გასტეხა  
იმ ცხრაკლიტულის კარები,  
სიდგანც მტანჯველად მოჰქროდა  
ბორიო ცივი ქარები.

ამიხდა მგოსნის ნათქვამი —  
„თავისუფლების ხარება,“  
მინდოდა შვება მეგემა,  
ლაღად, ეულად გარება!

გამოველ, წამს მოვილხინე  
მეგონა თავი ეული,  
მაგრამ გარს შემომეხვიენ  
მაშვლის ხელობას ჩვეულნი.

ნუ იტყვით თურმე მაჰანკლებს  
სასიძოთ ძებნა უწყიათ:  
სამაშვ-ლოის ალების  
პლანები გამოუწყვიათ:

ზოგი გერმანელს მაჩეჩებს,  
იტალიელსა, ინგლისელს,  
ზოგი თამარის მაშვალს ჰგავს,  
ზორობაბელსა — თბილისელს!

იგი ძველ მტარვალს მაწოდებს,  
ბოლშევიკ-დენიკინებსა;  
აღარ ვენდობი იმ ვერაგს:  
საფლავებს შეგვიგინებსა!

ამასობაში მე ვჭკნები,  
ფერი და ხორცი მელევა:  
უსამაშვალოთ არ უნდათ  
კეკლუცი სასძლოს შელევა.

- მწეწენ და მგლეჯენ ყოველ მხრივ,  
ვინ ვის მოასწრებს, იგი მთლის,  
ნესტანის ლეჩაქ - მანდილსა  
ხელშეუხებლად ვინღა სთვლის!..

და მთლად გამძარცვეს მაშვლებმა  
აწ კიდევ მეტსაც მოველი:  
სოციალ - მაჰანკლებისგან  
ღმერთო, დაიხსენ ყოველი!

სამსონ ყიფიანი.

# ცეცხლი გროზნაში.

სამწუხარო ამბავი მოხდა გროზნაში, რაც ალბად მთელ ნავთის მრეწველობას დაეტყობა: 20 სექტემბერს, ღამით ცეცხლი გაუჩნდა ვლადიკავკ. რკ. გზ. ორსავე რეზერვუარს, დილით კი ცეცხლი მოედო ყველა 15 რეზერვუარს, სადაც ჩადიოდა 4 მილიონ ფუთზე მეტი ნავთი. ვლად. საზ—ბის ნავთის გადასაზიდ ქარხანას საფრთხე მოელოდა. ქარხნის ტერიტორიაზე უკვე დაიწვა ყველა ბაკები, სადაც აუარებელი ნავთი და ბენზინი ჩადიოდა. ქარხანა გადარჩა, მაგრამ ვერ იმუშავებს. დაიწვა აგრეთვე 300 ცისტერნზე მეტი, რომელიც იქვე იყო. მაგრამ მაინც საკმაო რიცხვი ცისტერნებისა, როგორც სავსე, ისე ცალიერი, გადარჩენილ იქნა და გზა სადგ. ალდამდე ცისტერნებით არის სავსე. ზარალი უდრის ათეულ მილიონებს.

# საქართველოს პოლიტიკური მისია იტალიაში.

დღეს იტალიაში მიემგზავრება საქართველოს პოლიტიკური მისია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ბ-ნ კ. ბ. საბახტარაშვილის მეთაურობით.

---

...ქართველ მგოსნის ბესარიონ ...შვილის ცხოვრება და მისი შე- ...ვანი პოეტური შემოქმედების ...ხილვა შეძლებისადაგვარად.

...ბესარიონ გაბაშვილი, ქართულ ...რლობაში ბესიკის სახელით ცნო- ...ი, მეთვრამეტე საუკუნის ერთ ...ძლიერეს და უშესანიშნავეს მგოს- ...უნდა ჩაითვალოს.

...ბესიკის მშვენიერი და წარმტაცი ...ქსები, მისი შესანიშნავი, როგორც ...ინაარსით აგრეთვე ფორმით. ოდე- ...პოემები და სატირა-ელეგიები, ...დარი, ნაზი მხატრული ენა და ...ორიგინალური ლექსთწყობა ნათლათ ...ამტკიცებენ ჩვენი მგოსნის მრავალ ...ვ შემოქმედებითი ნიჭს და მის ...მნიშვნელობას ქართული სი- ...ტყვაკაზმულ მწერლობისათვის.

...სამწუხაროდ, ქართული სიტყვიე- ...რების მკვლევართ ჯერ კიდევ არ ...მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება ...ამ მგოსნის სამწერლო მოღვაწე- ...ობისათვის. ჯერ კიდევ არ მოგვეპო- ...ვება ბესიკის ნაწარმოებთა სრული ...კრებული, რადგან მეტათ ძნელი შე- ...კრება ყველა მისი საკუთარი ლექსების და ოდა-პოემების შეკრება და გამოცემა. ზოგიერთი ლექსები, რომელიც ეხლანდელ მის კრებულშია შეტანილი, დღესაც სადაო გამხდარა, რადგანაც სარწმუნოთ არ არის გამორკვეული მათი ავტორის ნამდვილი ვინაობა.

ყველა ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო დღეს დღეობით ყოვლად შეუძლებელია ჩვენი ძვირფასი მგოსნის ლიტერატურული ღვაწლის ყოველმხრივი და სრული დახასიათება და მისთვის სამართლიანი მსჯავრის დადება. ჩვენი დღევანდელი საუბრის უმთავრესი მიზანია გავეცნოთ ბესიკის პირადულ ცხოვრებას და მისი უკვდავი კალმის ზოგიერთ საუკეთესო ნაწარმოებთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ერთად-ერთი სურვილით, აღვძრათ ინტერესი ჩვენი ნიჭიერი მგოსნის პოეზიის შესწავლისადმი, რათა ბესიკის ნაწარმოების პირდაპირი გაცნობით ყველას მიეცეს საშვალება დაეწაფოს ამ დიდებული მგოსნის შემოქმედების დაუშრეტელ წყაროს.

ალ. თორაძე.

(შემდეგი იქნება).

მისიაში იმყოფებიან აგრეთვე მრჩევლებათ საეკონომიო საკითხებში რუსი ჟურნალისტი ვლ. ვოიტინსკი და ბ-ნი კ. ჯაყელი.

მისის მდივანია ქ-ნი ვოიტინსკისა, რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე შეისწავლოს იტალიაში სწავლა განათლების საქმე და მოხსენება წარუდგინოს განათლების მინისტრს.

## გერმანული პრესა.

გაზეთების მიერ პარიზის სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, უკანასკნელ ხანს, ფრანკის კურსის აწევა იმით აიხსნება, რომ საფრანგეთის მთავრობამ დიდძალი საქონელი შეისყიდა საფრანგეთის გარედ. საფრანგეთის მთავრობა უმთავრესად მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს მცხოვრებლებში პანიკის გამოწვევა და (გაუგებარია) პალატა ხელშეკრულების დადასტურების წინაალმდეგ.

სექტემბრის 25 შესდგა პრუსიის მინისტრთა საბჭოს სხდომა მემელის საკითხის გადასაწყვეტად.

ვენის მინისტრთა საბჭომ დაადგინა უცხოეთში ხელოვნების ის ნაწარმოებნი, რომელიც მთავრობას ეკუთვნის, გაყიდოს რათა შეძლება მიეცეს უსაჭიროესი სასურსათო საგნები შეისყიდოს.

ვოლფის სააგენტოს ცნობით, გერმანიის მთავრობას კიდევ არ მიუღია მიწვევა ვაშინგტონში კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

შვეიცარიიდან მიღებულ ცნობების თანახმად ამერიკაში მიემგზავრება სამხრეთ სლავიანთა დელეგაცია, რათა იქ პროპაგანდა გასწიოს ქ. ფიუმეს სამხრეთ სლავიანთათვის გადაცემის სასარგებლოდ. როგორც ამბობენ დელეგაციას დაეხმარება ამერიკის დაინტერესებული წრეები.

გუშინ ვეიმარში გიოტეს სახელობის საზოგადოების სხდომა გაიხსნა ფონ-რეინ და ბენის სიტყვით, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანელთა პირველი მოვალეობაა ყველა გერმანელთა გონებრივი მუშაობის განახლება და ეხლანდელ რეალურ ტენდენციის შეცვლა ძველი, გიოტეს იდეალიზმით.

## უცხოეთი

**უთანხმოება საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში.**

დეპუტატი სენი ნეკტუ თავის წერილში სოციალისტური პარტიის მდივნისადმი შემდეგნაირად ასაბუთებს თავის გამოსვლას პარტიიდან:

„მიუხედავათ იმისა, რომ მე დიდ პატივს ვსცემ იმ პარტიას, რომელსაც 25 წელიწადი ვეკუთვნოდი, მაინც უსარგებლოთ მიმაჩნია ჩვენი უთანხმოების პარტიული სასამართლოსათვის გადაცემა. ჩვენი უთანხმოებანი იმდენათ ღრმა არის, რომ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. მე სოციალისტურ პარტიაში ყოველთვის ვხედავდი ხელმძღვანელს იმ მოძრაობისას რომელიც მიისწრაფის წარმოების საუკეთესო ორგანიზაციის შექმნისაკენ.

„ამ ჟამათ ეს შეხედულება პარტიის უმრავლესობის მიერ უარყოფილია. კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც უყურებდით როგორც საშვალებას, ამ ჟამათ ცნობილია, როგორც თვით მიზანი და ხშირად მას სცვლის კლასობრივი ზიზღი. ამის შედეგია ის, რომ უდიდესი სოციალური პრინციპის ადგილს ხშირად იკავებს პლებეების აღშფოთების გრძნობა.

„ომის დროს ბევრ ჩემს ამხანაგებს არ სწამდათ გამარჯვების მიღწევა, ნაწილს ამხანაგებისას არც კი უნდოდა ეს გამარჯვება და ფიქრობდენ, რომ საფრანგეთის დამარცხება გააადვილებს სოციალიზმის განხორციელებას პროლეტარიატის დიკტატურის საშუალებითო.

„ასეთი შეხედულობანი ძლიერ ეწინააღმდეგებიან დემოკრატიის იდეას, ამიტომ მე არ შემიძლია მათ (შეხედ.,) შეურიგდე. მე დიდხანს ვებრძოდი მათ ჩემი ოლქის სექციაში, მაგრამ რუსეთის ამბებმა, რომელსაც ზოგიერთნი საფრანგეთის პროლეტარიატს ვარდის ფერებში უხატავენ, როგორც სოციალიზმის ბედნიერათ გამოყენებას, შეიტანეს საფრანგეთის მუშათა რაზმებში იმდენი ფანტასტიური, რომ გონებრივმა საბუთებმა დაჰკარგეს ყოველგვარი „დაჯერება“

„ჰუმანტე“ ამ წერილის შესახებ აღნიშნავს: ნეკტუ დიდიხანია, რაც არ ეთანხმება თავის ოლქის სოციალისტურ ორგანიზაციას. ახლა კი მან გადასწყვიტა პარტიიდან გამოსვლა. ჩვენ ვწუხართ მის გადაწყვეტილების შესახებ, ვწუხართ აგრეთვე იმ სიტყვების გამო, რომელიც მან წასვლის დროს სთქვა. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სიტყვები უსამართლოთაა ნათქვამი. მას ეს არ უნდა ჩაედინა. ასეთი სიტყვები ჩვენ ხშირათ გაგვიგონია სოციალიზმის მტრებისაგანო“.

## ტანვარჯიშობისათვის.

ყველა ევროპიულ სახელმწიფოებში ტანვარჯიშობის საქმე სათანადო დონეზე არის დაყენებული, ყველა ერი ისეთი დიდიც კი როგორიც გერმანელები და ინგლისელები არიან, სცდილობენ თავისი ბუნებრივი შემცირების „პროცენტი“ ხელოვნურად შეასუსტონ ტანვარჯიშობის საქმის ჯეროვან სიმაღლეზე აყვანით. ამ მხრით მართლაც კულტურული ერები აღწევენ თავის მიზანს.

გერმანიაში ამ 50 წლის წინად სიკვდილის პროცენტი 12 იყო, იმ დროს როდესაც 1913 წელს 7 %-მდე შემცირდა. ამ მხრით ჩეხები და შვედებიც საერთო ხალხთა ოჯახიდან გამონაკლისს შეადგენენ.

ჩეხთა შორის სიკვდილის პროცენტი 5-მდე დავიდა.

დღეს საქართველოს მთავრობამაც მიაქცია ამ საქმეს ყურადღება და პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგა. დანიშნა ტანვარჯიშობის საქმის მთავარი გამგე.

ზოგიერთს კარგად ვერც კი აქვს წარმოდგენილი ტანვარჯიშობის მრავალმხრივი მნიშვნელობა. ბევრი ტანვარჯიშობაში მხოლოდ ფიზიკურ სარგებლობასა ხედავს. ტანვარჯიშობა მხოლოდ კუნთებს არ ანვითარებს, იგი მოვარჯიშეში სწრთვნის ხასიათს, უნვითარებს მას თავდადებას და მამაცობის გრძნობას, იგი თავის თავისადმი მკაცრია მხოლოდ სხვათათვის ლმობიერი. უნვითარებს მოვარჯიშეს საზოგადოებრივ გრძნობებს.

ვინც შევარდენია ცხოვრებას ახლოს იცნობს, მისთვის სრულიად უდაოა ის, რომ მოვარჯიშეთათვის უცნობია პესიმიზმი. იგი ყოველთვის გრძნობს ძალას ცხოვრებასთან საბრძოლველად...

ტანვარჯიშობა მეტად ასაღებს აგრეთვე გონებას და საშუალებას აძლევს ადამიანს ღრმა მოხუცებამდე შერჩეს ფხიზელი აზროვნება.

ისტორიიდან ვიცით, რომ უდიდესი ადამიანები, არისტოტელი და სოკრატი ულრმეს მოხუცებამდე ვარჯიშობდენ, ინგლისის მხცოვანი დიპლომატი ლ. ჯორჯიც ყოველ დღე სისტემატიურად ვარჯიშობს და იმაგრებს თავის ჯანს.

ტანვარჯიშობა ყურადსაღებია, როგორც ხელოვნებაც.

კარგ მოვარჯიშეს ისე, ვით კარგ ხელოვანს რიტმი და სტილი.

როგორც ყველა დარგის ხელოვნებაში ბოლო ხანებში ტანვარჯიშულ მოძრაობებშიაც სიმბოლიზმი იმარჯვებს.

დღევანდელი ვარჯიში „საქართველოს ვარსკვლავი“ სწორედ სიმბოლიური სტილით არის შედგენილი.

მოკეთე.

## წერილი დედა-ქალაქიდან

(საკ. კორესპონდენტისაგან.

როდესაც სახელმწიფოში, რაიმე გადატრიალება მოხდება ხოლმე, აუცილებლათ ერთი რომელიმე კლასი ამოტივტივდება და დანარჩენნი კი საშინელ გაქრობას განიცდიან ხოლმე.

რასაკვირველია განათლებულ სახელმწიფოში ამგვარ ბრძოლაში გამარჯვებული კლასსი—პარტია ცდილობს დამარცხებულთ ლოიალურად მოეპყროს და მეხრუქები არ მოუჭიროს. მაგრამ ასე არ არის ჩვენში ისიც იმ დროს, როდესაც ყველაზე უფრო მჭიდროთ შევკრულიყავით—ერთი მეორეს ყელში უჭერთ ხელს.

შევეხოთ გაკვრით სამხედრო სამინისტროს და მის რეფორმებს.

უკანასკნელი რეფორმა ძალიან საყურადღებოა.

„სამსახურის მიხედვით ხარისხის განმარტება“.

ეს რეფორმა გამომდინარეობდა „ჩინების“ შეცვლით—ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, მაიორი და გენერალი შემოიღეს ნაცვლად პროპორჩიკ პორუჩიკისა და ბოლოს ისეთი დომხალი გამოვიდა,—რომ 55% საუკეთესო ოფიცრობისამ სამსახურს თავი დაანება.

ასეთი რეფორმა სამინისტროსი არ ვიცი როგორ მიიღო საზოგადოდ ოფიცრობამ, მაგრამ მსმენია პრაპორშჩიკებისაგან არამედ გე-
რალ— [illegible]
განა მისაძლებელია ენლა სა-
ხურ [illegible] თვით მთავრ
გვამჩნევინებს მას, რომ ჩვენ მხ
ლოთ ზარბაზნის დასაგლეჯლებ
უნდივართო“

აი რანაირ მდგომარეობაში არ ეხლა ამ რეფორმის გამო. ოფიც თა კადრიც განა პარტიული კ იყო, რომ ეგრე დატუქსეს?—რა რისთვის? როდესაც, ჩვენს სამშ ლოს ისედაც ცუდი დრო უდგ როდესაც გარს შემოგვსევია ათ მტერი, მთავრობამ არ უნდა ჩაა ნოს ოფიცრობა და საზოგადოდ მხედრო პირები ისეთ მდგომარეო ში, რომ გული გაიტეხონ და შობლოს სამსახურზე ხელი აიღო

ლ ყიფიან

## „შევარდენის“ ტანვარჯიშობა ქუთაისში.

დღეს 5 ოქტომბერს ვაჟთა ველ გიმნაზიის ეზოში თფილ საზოგადოება „შევარდენი“ გა თავს დიდ ტანსავარჯიშის დღესა ულს, რომლისთვისაც თბილისი ჩამოვიდა 60 შევარდენი ქალი ვაჟი. სხვა და სხვა გვარი ტანვა შობათა შორის აქ პირველათ რულდება გ. ეგნატაშვილის მ შედგენილი ახალი, საუცხოვო ლამაზის თავისუფალი მოძრა „საქართველოს ვარსკვლავი“. ეს ძრაობა ტანვარჯიშულ სტილიზ ას წარმოადგენს და, თუმცა 5 ნ ლებათ განიყოფება, მაგრამ მთლიან ცხოვრების სურათს გამ ხავს

იგი იწყება ქალ-ვაჟთა საე ტანვარჯიშობით, ამ დროს სა ლაც მტრის საფრთხე იბადება. მ ვე „ძმები“, მტრის მოსაგერებ „დების“ ირგვლივ სდგებიან და რძოლველათ მზადებას იწყებენ, ლო „დები“ ამ დროს ლოცუ ბენ. შემდეგ იწყება მტერთან გარი ბრძოლა, რომელშიაც ძმებს ეხმარებიან სხვადასხვა იარ მოწოდებით უკანასკნელი ნაწ გამარჯვებულ ქართველ შევარ ეროვნულ ცეკვას წარმოად მტრის უკუქცევის შემდეგ.

მთელი ეს სურათი მით ყურადსაღებია, რომ ბრძოლასა ცეკვასაც ნამდვილი ტანვირჯ ლი მოქრაობა სახავს სტილის რათ „საქართველოს ვარსკვლა 40 საუკეთესოთ მოვარჯიშე ქალ ვაჟი მონაწილეობს.

დღესვე ქუთაისში დაარსდება თაისის საზოგადოება „შევარდ რომელსაც სათავეში ჩაუდგება ბილი შევარდენი დავით ჯავრ ლი.

ქალაქის ქუჩებში ყულაბებით გროვდება ფული ქუთაისში დაარსებულ საზოგადოების სა ბლოთ საჭირო სავარჯიშო იარ ბის და მოწყობილების შესაძე

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია